საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9527/01
09/09/2021

9527-01-2-202109091534

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 27 აგვისტოს N15410 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ჟინვალი–ლარსის საავტომობილო გზის ქვეშეთი-კობის მონაკვეთის მშენებლობის პროექტის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. არახვეთში N1 სამშენებლო ბანაკის ტერიტორიაზე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილია საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, თუმცა დოკუმენტში მოცემულ საინფორმაციო ცხრილში საქმიანობის განმახორციელებლის გრაფაში მითითებულია „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს ჯგუფის მუდმივმოქმედი ფილიალი“. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია დუშეთის რაიონში, სოფ. არახვეთის ტერიტორიაზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 71.62.54.901) (გვ.4). ხოლო დოკუმენტის მე-3 თავის თანახმად „ტერიტორია წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას“ (გვ. 6). მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ მითითებული ნაკვეთი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას. დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია.
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი გამწმენდი ნაგებობის კოორდინატი და 2.1.1. სურათზე დატანილი მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვევა და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობიდან წარმოქმნილი ნარჩენების (ლამი) შემდგომი მართვის საკითხები;

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

- სკრინინგის განცხადების მე-6 თავში წარმოდგენილი ცხრილის 1.5 პუნქტის თანახმად (გვ. 15), „ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხარისხი და ჩაშვების პირობები შესაბამისობაში იქნება ქართულ და ევროკავშირის კანონმდებლობასთან“. გაცნობებთ, რომ ჩამდინარე წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ჩაშვების პირობები შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნულ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით შესწორებული, სრულყოფილი განცხადების წარმოდგენის შემდგომ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე